# ბახვი 1 ჰესის საპროექტო არეალში მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის სამუშაოების ანგარიში

ბახვი 1 ჰესის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშისათვის, განხორციელდა მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის სამუშაოები. სამუშაოები განხორციელდა საველე გასვლით და გამოყენებული იქნა ფართობული აღრიცხვის მეთოდი, კერძოდ აზომვითი მეთოდი სანიმუშო ფართობების გამოყენებით.

აღრიცხვის დროს აღირიცხა 8 სმ და უფრო დიდი დიამეტრის მქონე მერქნიანი ხე-მცენარეები.

აზომვითი მეთოდის დროს აიღება სანიმუშო ფართობი (დანართი №1-ის შესაბამისად). უბანში აიღება წრიული, მართკუთხა ან ლენტისებური (10 ან 20 მ. სიგანის) სანიმუშო ფართობები ტაქსაციური მაჩვენებლების დასადგენად. სანიმუშო ფართობების რაოდენობა და ფართობი დამოკიდებულია უბნის სიდიდეზე და კორომის საშუალო დიამეტრზე. სანიმუშო ფართობები მეტნაკლებად თანაბრად უნდა იყოს განლაგებული, რისთვისაც ისინი გარკვეული სქემით მოინიშნება აეროფოტო ან ტოპო აზრისზე. სანიმუშო ფართობის აღების წესი განისაზღვრება ტექნიკურ დოკუმენტში.

**სანიმუშო ფართობი** - ტყის დახასიათებისათვის აღებული გარკვეული სიდიდის ფართობი, სადაც ხორციელდება ტყის აზომვითი აღრიცხვა, სპეციალური გამოკვლევა, გამოკვლევების მონაცემების განზოგადოებისა და შედარების მიზნით;[1]

საკვლევი ტერიტორია წარმოდგენილი იქნა 12 ნაკვეთით რომელიც მოიცავს დაგეგმილი საპროექტო ინფრასტრუქტურის ტერიტორიას კერძოდ:

- ნაკვეთი N1 - საწყობი, ბეტონის კვანძი, სამსხვრევი დანადგარი.
- ნაკვეთი N2 - ძალურ კვანძის და ბეტონის კვანძის დამაკავშირებელი გზა- გადაფარვაშია ტყის ფონდის ტერიტორიასთან
- ნაკვეთი N3 - ძალური კვანძის მიმდებარედ მდ. ბახვისწყალზე დაგეგმილი ხიდის ტერიტორია.
- ნაკვეთი N4 - სათავე ნაგებობა, მილსადენის დერეფანი, სადაწნეო მილსადენთან და საგენერატოროსთან მისასვლელი გზის დერეფანი - გადაფარვაშია სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიასთან.
- ნაკვეთი N5 - სათავე ნაგებობასთან მისასვლელი გზა - გადაფარვაშია თემურ მჟავანაძის მიერ იჯარით სარგებლობაში მყოფ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო მიწის ტერიტორიაზე.
- ნაკვეთი N6 - სათავე ნაგებობასთან მისასვლელი გზა - გადაფარვაშია თემურ მჟავანაძის მიერ იჯარით სარგებლობაში მყოფ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო მიწის ტერიტორიაზე.
- ნაკვეთი 7 – N1 ბანაკიდან და N1 სანაყაროს ტერიტორიიდან სათავე ნაგებობასთან მისასვლელი გზის მონაკვეთი
- ნაკვეთი 8 - სამშენებლო ბანაკი N2
- ნაკვეთი 9 - სანაყარო N2
- ნაკვეთი 10 – N1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორია
- ნაკვეთი 11 - სასაწყობე ტერიტორია
- ნაკვეთი 12 - სანაყარო N1

[1] საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემის, კატეგორიზაციისა და მონიტორინგის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე N427 დადგენილება https://matsne.gov.ge/ka/document/view/5247768?publication=0

აღნიშნული საკვლევი ტერიტორიებისათვის თანდართულ პაკეტში წარმოდგენილია 7 ელექტრონული საქაღალდე, რომელიც მოიცავს:

1-დან მე-6 ნაკვეთის ჩათვლით თითოეული ნაკვეთისათვის ინდივიდუალური პაკეტი:

- სახელმწიფო ტყის საზღვრის კორექტირებისთვის გათვალისწინებულ ფართობზე მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის უწყისი;
- სიტუაციური გეგმა;
- სანიმუშე ფართობის აღრიცხვის ორიგინალი
- Shp ფაილები

N7-დან - მე-12 ნაკვეთის ჩათვლით ერთი სიტუაციური ნახაზი და თან დართულია:

- სახელმწიფო ტყის საზღვრის კორექტირებისთვის გათვალისწინებულ ფართობზე მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის უწყისი;
- სიტუაციური გეგმა;
- სანიმუშე ფართობის აღრიცხვის ორიგინალი
- Shp ფაილები

**განხორციელებული სამუშაოს შედეგები:**

1. **ნაკვეთი N1 - საწყობი, ბეტონის კვანძი, სამსხვრევი დანადგარი.** ფართობით 3.6677 ჰა მოიცავს შემდეგ ტერიტორიას, ოზურგეთის სატყეო უბანი, მთისპირის სატყეო, კვარტალი N16, ლიტერ(ებ)ი: N11 ნაწ. კვარტალი: N17 ლიტერ(ებ)ი: N1 ნაწილი.,2 ნაწილი.,3 ნაწილი. აღრიცხვის მასალებით წარმოდგენილია - 60 ძირი წიფელი, 40 ძირი ნაძვი.

**ცხრილი 1.** აღრიცხვის მასალები N1 ნაკვეთისათვის

| ჯიშების მიხედვით | საქმისი მერქანი (ლიკვიდი) სულ - მ³ | შეშა ვარჯიდან სულ -მ³ | I ხარისხი სულ- მ³ | II ხარისხი სულ -მ³ | სულ -მ³ | რაოდენობა ც |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ წიფელი | 449.55 | 50.1 | | 499.65 | **499.65** | **60** |
| სულ ნაძვი | 1.6 | 0 | | 1.6 | **1.6** | **40** |

2. **ნაკვეთი N2 - ძალურ კვანძის და ბეტონის კვანძის დამაკავშირებელი გზა-,** ფართობით 3.7961 ჰა. ოზურგეთის სატყეო უბანი - სატყეო: მთისპირი, კვარტალი: N17 ლიტერ(ებ)ი: N2,4,5,6,7,10,15,18,25-ის ნაწილები - **აღრიცხვის მასალებით წარმოდგენილია 220 ძირი წიფელი, 200 ძირი თხმელა. ინფორმაცია მოცულობის შესახებ მოცემულია ცხრილში.**

**ცხრილი 2.** აღრიცხვის მასალები N2 ნაკვეთისათვის

| მათ შორის ჯიშების მიხედვით | საქმისი მერქანი (ლიკვიდი) სულ - მ³ | შეშა ვარჯიდან სულ - მ³ | I ხარისხი სულ- მ³ | II ხარისხი სულ - მ³ | სულ -მ³ | რაოდენობა ც |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ წიფელი | 521.2 | 57.8 | 519 | 60 | **579** | **220** |
| სულ თხმელა | 14.2 | 0 | | 14.2 | **14.2** | **200** |

3. **ნაკვეთი N3 - საპროექტო ხიდის ტერიტორია მდ. ბახვისწყალზე საგენერატოროსთან მისასვლელი გზისათვის,** ფართობით 0.0081 ჰა, კვარტალი: N17, ლიტერ(ებ)ი: N25-ის

ნაწილი, კვარტალი: N20, ლიტერ(ებ)ი: N3-ის და N51-ის ნაწილები - **აღნიშნულ ტერიტორიაზე მერქნული რესურსი წარმოდგენილი არაა.**

4. **ნაკვეთი N4 - მოიცავს სათავე ნაგებობას, მილსადენის დერეფანს, სადაწნეო კამერასთან მისასვლელ გზას და საგენერატოროს ტერიტორიას - ფართობით 18.1793 ჰა.** მოიცავს - ს.ს.ი.პ. "ეროვნული სატყეო სააგენტო", გურიის სატყეო სამსახურის ოზურგეთის სატყეო უბნის, მთისპირის სატყეოს კვარტალი ლიტერი N20-ის 1,2,3,4,5,6,11,15,16,38,51(მდინარე)-ს ნაწილებს, კვარტალი N21-ის - ლიტერი: 9,10,13,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,32,33,48,52(მდინარე)-ს ნაწილები, კვარტალი N23-ის - ლიტერი: 37 ნაწილი. აღნიშნული ტერიტორიისათვის შეფასება მოხდა აღრიცხვის მეთოდით, კერძოდ ფართობის მიხედვით (5,5%).
აღრიცხვის მასალების თანახმად აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილია 216 ძირი თხმელა, 432 ძირი ნაძვი, 2358 ძირი წიფელი. დეტალური ინფორმაცია მოცულობების შესახებ იხილეთ ცხრილში.

**ცხრილი 3.** აღრიცხვის მასალები მე-4 ნაკვეთისათვის

| მათ შორის ჯიშების მიხედვით | საქმისი მერქანი (ლიკვიდი) სულ $მ^3$ | შეშა ვარჯიდან სულ $მ^3$ | I ხარისხი სულ $მ^3$ | II ხარისხი სულ $მ^3$ | | სულ - $მ^3$ | რაოდენობა ც |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ წიფელი | 3592.62 | 396.18 | 3629.16 | 359.64 | 1 იარუსი | **3988.8** | 2358 |
| სულ წიფელი | 410.4 | 43.38 | 320.4 | 133.38 | 2 იარუსი | **453.78** | |
| სულ ნაძვი | 65.7 | 3.42 | 42.48 | 26.64 | 2 იარუსი | **69.12** | 432 |
| სულ ნაძვი | 421.74 | 24.3 | 446.04 | 0 | 1 იარუსი | **446.04** | |
| სულ თხმელა | 10.08 | 0 | 0 | 10.08 | 2 იარუსი | **10.08** | 216 |
| | | | | | | | |

5. **ნაკვეთი N5 - სათავე ნაგებობასთან მისასვლელი გზის მონაკვეთი,** ფართობით 0.1157 ჰა. აღნიშნულ ტერიტორიაზე მერქნიანი მცენარეები წარმოდგენილი არ არის.

6. **ნაკვეთი N6 - სათავე ნაგებობასთან მისასვლელი გზის ნაწილი,** მოქცეულია მოქ. თემურ მჟავანაძის მიერ იჯარით სარგებლობაში მყოფ მიწის ნაკვეთის საზღვრებში, ნაკვეთი **ფართობია - 0.0342ჰა, აღნიშნულ ტერიტორიაზე მერქნული ხე მცენარეები** წარმოდგენილი არ არის.
7. **ნაკვეთები N7-12 - სათავე ნაგებობასთან მისასვლელი გზის ნაწილი, სამშენებლო ბანაკების და სანაყაროების განთავსებისათვის შერჩეული ტერიტორია** მოქცეულია ს.ს.ი.პ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" მართვაში მყოფი მიწის ნაკვეთის, საკადასტრო კოდით 28.24.22.624, საზღვრებში. შერჩეული ტერიტორიის ჯამური ფართობი 4.5029 ჰა-ს შეადგენს:
   - ნაკვეთი 7 – ბანაკიდან და სანყაროს ტერიტორიიდან სათავე ნაგებობასთან მისასვლელი გზის მონაკვეთი - 0,7952 ჰა.
   - ნაკვეთი 8 - სამშენებლო ბანაკი N2 - 0,1418 ჰა,
   - ნაკვეთი 9 - სანაყარო N2 - 0,4417 ჰა,
   - ნაკვეთი 10 -N1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორია - 0,6482 ჰა,
   - ნაკვეთი 11 - სასაწყობე ტერიტორია - 1,7672 ჰა,

- ნაკვეთი 12 - სანაყარო N1 -  1,5922 ჰა;

<u>**აღნიშნულ ტერიტორიაზე აღრიცხვას დაქვემდებარებული მერქნიანი მცენარეები წარმოდგენილი არ არის.**</u>

**შეფასების შედეგები:**

8. წარმოდგენილი სამუშაოს ფარგლებში აღიცხული იქნა 12 ნაკვეთზე არსებული მერქნული რესურსი ფართობული მეთოდით.
9. შესაფასებელი არეალიდან 22 ჰა ტერიტორია მოიცავს ოზურგეთის სატყეო უბნის, მთისპირის სატყეოს ტერიტორიას.
10. საპროექტო არეალის 4.5369 ჰა ფართობის ტერიტორია მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის საზღვრებში.
11. საპროექტო არეალის 0.1499 ჰა ფართობის მქონე ტერიტორია მოქცეულია იჯარით სარგებლობაში მყოს სახელმწიფო მიწის საზღვრებში.
12. წინასწარი აღრიცხვის თანახმად აღნიშნულ ტერიტორიებზე წითელი ნუსხის სახეობა არ დაფიქსირებულა.
13. აღრიცხვის თანახმად ამ ტერიტორიაზე აღირიცხა შემდეგი სახეობის, მოცულობის და რაოდენობის მერქნიანი მცენარეები:

**ცხრილი 4.** შეჯამებული აღრიცხვის ინფორმაცია

| სახეობა | რაოდენობა | მოცულობა - $მ^3$ |
|---|---|---|
| წიფელი | 2638 | 5521.23 |
| ნაძვი | 472 | 516.76 |
| თხმელა | 416 | 24.28 |

დეტალური ინფორმაცია მოცემულია ელექტრონულ ვერსიაში.